შორენა ცინცაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი, ამავე ფაკულტეტის ასისტენტი

არაბული ქვეყნების ინტერესები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში

„ჩვენ არ გვყავს მუდმივი მოკავშირეები, და არ გვყავს საუკუნო მტრები. ჩვენი ინტერესები სამუდამო და საუკუნოა, და ამ ინტერესების დაცვა ჩვენი მოვალეობაა.“

ლორდი პალმერსტოუნი

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია თავად პრობლემის არა მხოლოდ რეგიონული, არამედ გლობალური კონტექსტით. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი თავისი სტრატეგიული მდებარეობით ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების სიმრავლით. აქტორებს შორის ყოველთვის იყო და იქნება კონკურენცია რეგიონში კონტროლის შენარჩუნებისა (აშშ) და ზოგიერთის შემთხვევაში კი (რუსეთი, ჩინეთი) დამყარების კუთხით.

ჩინეთი იქცა ზესახელმწიფოდ, რომელიც აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწევა. თუმცა, პეკინს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი ამოძრავებს. რაც შეეხება რეგიონის ქვეყნებს დღესდღეობით ისინი თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგით გარკვეულ გავლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე.

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი დღემდე მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა.

პალესტინის საკითხი არის როგორც რეგიონული, ასევე მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტი. ამ კონფლიქტში ყოველი დაპირისპირებისა და ტერორისტული აქტის მიღმა გრძელი და ღრმა ისტორიაა. შიდა შეიარაღებული კონფლიქტი დამანგრეველ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე. სამშვიდობო ინსტიტუტები და შესაძლებლობები სუსტდება [1, 57].

ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების" თეორიით შემოთავაზებული ხედვაც გამართლდა. იდეოლოგია ჩაანაცვლა იდენტობამ და კონფლიქტების მთავარმა ზოლმა გაიარა დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის [2, 22].

მიმაჩნია, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რელიგიურ ხასიათთან ერთად გეოპოლიტიკურიც არის. არაბული ქვეყნების მიერ გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხდება რელიგიის იარაღად გამოყენება. ეს არის კონფლიქტი, რომელშიც გეოსტრატეგიული და გეორელიგიური შედეგების გათვლებით მონაწილეობს როგორც საგარეო ძალები, ასევე რეგიონული მოთამაშეები. კონფლიქტის დაწყებისთანავე ევროპული სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ ახლო აღმოსავლეთში რეგიონული წესრიგის დამკვიდრებას. თუმცა არაბული ქვეყნები ნაციონალიზმის გაღვივებით არაბი მოსახლეობისგან საჯარო მხარდაჭერასაც იღებდნენ. რეგიონში მკვიდრდებოდა არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემები. არაბული სახელმწიფოები თავისი გავლენის ტერიტორიულ გაფართოებას ცდილობდნენ ძალის გამოყენებით ან არაბული ერთობისკენ დემაგოგიური მოწოდებით.

წარმოდგენილი სტატია არის აღნიშნული პრობლემის განხილვისკენ გადადგმული მოკრძალებული მცდელობა, რომლის **მიზანსაც** წარმოადგენს ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში არაბული ქვეყნების ინტერესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ანალიზი. შესაბამისად, **საკვლევი თემის ამოცანაა** ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში არაბული ქვეყნების ინტერესებისა და მიდგომების განხილვა. **ძირითად საკვლევ საკითხებად** სტატიაში განხილულია არაბული ქვეყნებისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ინტე-

რესები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმართ.

არაბული ქვეყნების პოზიცია ისრაელის სახელმწიფოს მიმართ სულ ცოტა სამ მიმართულებად შეგვიძლია დავყოთ: პირველი, რომელიც ეთანხმება ისრაელთან თანაარსებობას, მეორე და დიდი ჯგუფი, რომელიც ცდილობს ისრაელის განადგურებას და მესამე, მზად არის ისრაელთან მოლაპარაკებებისთვის. თუმცა, თავის მომხრეებთან ამ მზაობას განიხილავს, როგორც ისრაელის განადგურების საშუალებას [3, 102].

არაბულ ქვეყნებს პალესტინის ტერიტორიის მიმართ ისრაელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დღიდან საკუთარი ინტერესები გააჩნიათ. არაბები ერთსულოვანი არიან ისეთ იდეოლოგიურ საკითხში, როგორიცაა წინააღმდეგობა ისრაელის სუვერენულ სახელმწიფოდ და ებრაელი ხალხის სამშობლოდ საერთაშორისო აღიარებისადმი. არაბთა ნაწილი არ აღიარებს, რომ ისრაელი სუვერენული, საერთაშორისო საზოგადოების წევრი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ისინი ისრაელს განიხილავენ, როგორც არალეგალურ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეჭრილ იმპერიალისტურ ელემენტს. მათი მთავარი სურვილი არის ისრაელის დასუსტება და ტერიტორიების მითვისება. მათთვის შეურაცხმყოფელიც კი არის ისრაელის არსებობა, არაბები პალესტინას მუსლიმურ ტერიტორიად მიიჩნევენ. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ მისი დათმობა არამუსლიმი ებრაელი ხალხისთვის და ისრაელის სახელმწიფოს არსებობის ოფიციალური დადასტურება. არაბულმა წინააღმდეგობამ ისრაელთან ოთხი მნიშვნელოვანი ომი გამოიწვია – 1948, 1956, 1967 და 1973 წლებში. ოთხივე ომში გამოიკვეთა ისრაელის სამხედრო უპირატესობა.

ურთიერთობები თბება ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის №181 რეზოლუციის წინააღმდეგნი იყვნენ. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისრაელის წარმატების აღნიშვნა დიპლომატიურ ასპარეზზე, ისრაელმა შეცვალა თავისი რეგიონული სტრატეგია არაბულ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო კავშირებზე დაყრდნობილი სტრატეგიით. მაგრამ რეგიონში მისთვის გამოწვევად მაინც რჩება ირანი და თურქეთი. თელ-ავივის უნივერსიტეტის ეროვნული

უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის უფროსმა თანამშრომელმა იოელ გუზანსკმა ისრაელის ახალ სტრატეგიას უწოდა „უკუ პერიფერიის“ სტრატეგია. ისრაელის ყოფილი პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ღრმა რწმენით, ისრაელი უნდა გაძლიერებულიყო სამხედრო, ეკონომიკურ თუ სადაზვერვო სფეროში. ვინაიდან მხოლოდ ძლიერი ერები იმსახურებენ პატივისცემას და მხოლოდ ისინი გადარჩებიან.

1950-1960 წლებში ისრაელი იზოლირებული და გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი არაბული ქვეყნებით. ეს იზოლაცია გაარღვია ეგვიპტემ. ირანი გახდა „მესამე წრის საფრთხე“. „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარი“ ალბათ სწორედ ისრაელი აღმოჩნდა საუკეთესო მოკავშირე არაბული ქვეყნებისთვის ირანის წინააღმდეგ.

არაბულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ყატარს, რომელმაც ომანი ჩაანაცვლა. ყატარი ასრულებს რეგიონული შუამავლის როლს აშშ-სა და ირანს შორის. ყატარი ასევე ახლოს არის თურქეთთან. შესაბამისად ყატარზეა დიდ წილად დამოკიდებული რამდენად დაეხმარება თურქებს ამერიკელებთან, არაბებთან ან ისრაელთან შერიგებაში [4].

არაბული ქვეყნებიდან სირია ღია საფრთხეს წარმოადგენს ისრაელისთვის. 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების დაკავებამ სირიასთან პოლიტიკური უთანხმოება გამოიწვია. ეს სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობს ირანთან, მას დახმარებას უწევს ჩრდილოეთ კორეა და რუსეთი. ამ ფაქტის ერთ-ერთი დადასტურებაა 2018 წლის 29 მაისს სირიის მთავრობის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარება [5].

2007 წლის სექტემბრის თვეში ისრაელმა სირიაში განახორციელა საჰაერო თავდასხმა. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ ამ ადგილას განთავსებული იყო ჩრდილოეთ კორეის იონგბიონის რეაქტორის მსგავსი ბირთვული რეაქტორი, რომელიც ჩრდილოეთ კორეის დახმარებით შენდებოდა. ვარაუდობენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა 1997 წელს დაიწყო. სირიამ უარი განაცხადა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გამოძიებაზე [6].

2021 წელს დეკემბრის თვეში ისრაელმა განახორციელა საჰაერო თავდასხმა სირიაში პროირანული მილიციისთვის განკუთვნილ სხვადასხვა აღჭურვილობის (მათ შორის იყო რაკეტები), იარაღის წარმოების ინფრასტრუქტურაზე და თვითმფრინავებზე. ისრაელის საჰაერო ძალებმა თავდასხმა განახორციელეს დასავლეთ სირიის ჰომსის გუბერნიაში ჰეზ-ბოლას კუთვნილ ობიექტებზეც. ისრაელის თავდასხმა ასევე განხორციელდა ლატაკის პორტზეც, მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიის განლაგება. რუსეთის საჰაერო ბაზა ჰმეიმი, რუსეთის ოპერაციების ცენტრი მხოლოდ 25 კილომეტრშია ამ პორტიდან. ის ასევე ტარტუსის საზღვაო ობიექტიდან არის დაახლოებით 5კმ-ში. ლატაკის პორტი არის გასაღები სირიის რეჟიმისთვის, ისევე როგორც მისი მხარდამჭერებისთვის მოსკოვში [7; 8].

სირიასა და ისრაელს შორის ურთიერთობების დათბობაზე საუბარი გოლანის მაღლობების სირიის მხარისთვის გადაცემის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რასაც ისრაელი ვფიქრობთ, რომ არასდროს დაუშვებს. როგორც ჰენრი კისინჯერი აღნიშნავს: „ახლო აღმოსავლეთში არ არსებობს მშვიდობა სირიის გარეშე.“ იმ შემთხვევაში თუკი ასადის რეჟიმის ჩანაცვლება მოხდება სუნიტური წარმომადგენლის მიერ, ეს შეიძლება კიდევ უფრო დიდი პრობლემა გახდეს ისრაელის უსაფრთხოებისთვის. ვინაიდან სუნიტური სირია მხარს დაუჭერს ასევე სუნიტურ პალესტინელ არაბებსა და ჰამასს. ისრაელი კი უფრო რთულ გეოსტრატეგიულ ვითარებაში აღმოჩნდება.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში ისრაელის არაბულ სამყაროსთან დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაცია უდავოდ მნიშვნელოვანია. ეგვიპტის შემდეგ ისრაელთან დიპლო-მატიური ურთიერთობა დაამყარა იორდანიამ 1994 წელს. 2020 წელს კი ოთხმა არაბულმა ქვეყანამ გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელთან ესენია: არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, სუდანი და მაროკო [9].

ისრაელთან არაბული ქვეყნების დიპლომატიური ურთიერ-თობები შექმნის რეგიონში მყარ გეოპოლიტიკურ მოდელს. გამორიცხული არაა სხვა არაბულმა სახელმწიფოებმაც მოახდინონ

ისრაელთან დიპლომატიური კავშირის დამყარება, რაც შეიძლება გახდეს რეგიონში მშვიდობის დამყარებისკენ და ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი.

მნიშვნელოვანია რამდენ ხანს გასტანს დიპლომატიური კავშირი. არაბთა გაერთიანებულ საემიროებს სურთ, რომ სირია რეგიონის არაბულ ნაწილს დაუბრუნდეს. ისრაელს აქვს განსხვავებული დღის წესრიგი სირიაში, ხოლო ირანს, თურქეთსა და გაერთიანებულ საემიროებს – სხვა [4].

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ირანის ისლამურ რესპუბლიკას. თანამედროვე ირანი ისლამური სამყაროს ნაწილია, თუმცა, იგი არ არის არაბული სახელმწიფო. ირანს დიდი გეოპოლიტიკური გავლენა აქვს ისეთ არაბულ ქვეყნებზე, როგორიცაა ერაყი, სირია და ლიბანი. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ფლობს სახმელეთო დერეფანს ირანიდან ხმელთაშუა ზღვამდე, რომელზეც ინტერესს გამოთქვამს ჩინეთი. ირანი ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, პირველი იმით, რომ ირანზე გავლენა აქვს რუსეთსა და ჩინეთს. ორივე სახელმწიფო კი ცდილობს აშშ-ის გავლენის შემცირებას რეგიონში. ეს ისრაელის სახელმწიფოს შეუქმნის საფრთხეს, რადგან დაკარგავს არარეგიონულ სტრატეგიულ მოკავშირეს ამერიკის შეერთებული შტატების სახით; მეორე, საშიშროება, რომელიც ირანიდან მოდის, არის მისი ბირთვული პროგრამა.

ისრაელის სახელმწიფო არის დასავლური ღირებულებების ლიდერი ქვეყანა რეგიონში. მან განსაზღვრა რეგიონის პოლიტიკა. ისრაელი 1948 წლიდან წარმოადგენს აშშ-ს ახლო აღმოსავლური პოლიტიკის სისტემის მთავარ ელემენტს. იგი დიდ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაზე. ისრაელი არის აშშ-ს მთავარი სტრატეგიული მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში.

თურქეთი და ირანი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო და არის ისრაელისთვის. თანამედროვე პერიოდში რეგიონში სპარსეთის ყურის ფარგლებში ირანს უკავია მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა. იგი აკონტროლებს ჰორმუზის

სრუტის ჩრდილოეთ სანაპიროს და შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დაბლოკოს გემების გადაადგილება სრუტეზე. ამით კი საფრთხეს შეუქმნის აშშ-ს, ასევე მისი მოკავშირე ქვეყნების სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკურ კეთილდღეობას [10, 355].

ირანი 1947 წელს წინააღმდეგი იყო ისრაელის სახელმწიფოს შექმნის და მხარი არ დაუჭირა გაეროს 1947 წლის 29 ნოემბრის №181 რეზოლუციას [11]. თუმცა, 1948 წლიდან ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები კომპლექსური იყო. 1949 წლის სექტემბერში თურქეთი იყო პირველი ისლამური ქვეყანა, რომელმაც ისრაელის დამოუკიდებლობა აღიარა. ამ ნაბიჯმა ირანს მისცა საშუალება თვითონაც ეღიარებინა ისრაელის დამოუკიდებლობა 1951 წლის 7 ივლისს.

ისრაელისა და ირანის 1953-1978 წწ. მჭიდრო ურთიერთობები ისლამური რევოლუციის შემდეგად შეიცვალა. ირანის ისლამური რევოლუციის წინამძღოლის აიათოლა ხომეინისთვის მთავარი იყო შეტევა „მსოფლიოს დამაქცეველი ამერიკის“ წინააღმდეგ, ასევე, „სიონიზმისა და ისრაელის“ და რუსეთისა და აზიის კომუნისტურ-მატერიალისტური საზოგადოების წინააღმდეგ [12, 225].

ირანის პოლიტიკა ეწინააღმდეგება ისრაელის ნაციონალურ ინტერესებს და მას ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის მიმართაც საკუთარი ინტერესები აქვს. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი არის ირანის ირიბი მონაწილეობა ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში.

ირანი ისლამური რევოლუციის შემდეგ აწარმოებდა ორაზროვან პოლიტიკას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ის მოითხოვდა ვესტფალიური სისტემის ფარგლებში ფორმალურ დაცვას და ამავდროულად არ სწამდა ამ სისტემის. ეს ორაზროვანი პოლიტიკა სახელმწიფო დოქტრინის შემადგენელ ნაწილად აქცია. ირანი „ისლამური რესპუბლიკის“ ქვეშ მოიაზრებდა სახელმწიფოს, რომლის მმართველობის არეალი ტერიტორიულ საზღვრებს სცდებოდა. აიათოლა ხომეინი საკუთარ თავს მიიჩნევდა არა მხოლოდ ირანის უმაღლეს ხელისუფლად არამედ „ისლამური და ჩაგრული ხალხის წინამძღოლადაც“.

ირანი, როგორც „ისლამური რესპუბლიკა“, ისლამური იდეოლოგიის მატარებელი ქვეყანა მხარს უჭერდა და დღესაც უჭერს ისეთ ორგანიზაციებს როგორიცაა ლიბანში ჰეზბოლა და ჰამასი [12, 222-224]. სწორედ ამ ორგანიზაციების დაფინანსებითა და მათი მებრძოლების შეიარაღებით, იგი ირიბად მონაწილეობს ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში. მისი მთავარი მიზანი და ინტერესი არის ამ ორგანიზაციების ხელით ისრაელის ჩამოშორება რეგიონში ლიდერობიდან და მისი გაქრობა.

ირანისა და ჰამასის ურთიერთობა განსაკუთრებულია [13]. ირანს გამორჩეული პოზიცია ეკავა პალესტინის საკითხის მიმართ [14, 107]. მისი და ჰამასის ურთიერთობა განვითარდა სპარსეთის ყურის კრიზისის დროს 1990 წ. 1992 წლის თებერვალში ჰამასმა წარმომადგენლობა გახსნა თეირანში. ივნისში მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარების წინააღმდეგ გამართულ კონფერენციაზე თეირანში ჰამასის ოფისის გახსნა ნიშნავდა იმას, რომ ირანი აღიარებდა ჰამასის განსაკუთრებულ როლს პალესტინის ოპოზიციაში.

ისრაელი, ისევე როგორც აშშ და დასავლეთი ეწინააღმ-დეგებოდნენ ირანისა და ჰამასის თანამშრომლობას. ისრაელი ირანს ტერორიზმის დაფინანსებაში სდებდა ბრალს. 1992 წელს არაფატმა ირანი დაადანაშაულა ჰამასის დაფინანსებაში. ირანი ჰამასს პალესტინელი ხალხის ლეგიტიმურ წარმომადგენლად მიიჩნევდა. ჰამასისთვის კი ირანი სტრატეგიული პარტნიორი იყო [15, 178-180].

2021 წლის 10 მაისს ჰამასმა განახორციელა ისრაელის მიმართ სარაკეტო შეტევები. „ჰამასი“ მარაგდება ირანიდან. ირანის სპეცსამსახურების მიერ მიწოდებული სარაკეტო კომპ-ლექსებით, როგორიცაა „მიწა-მიწაზე“ დაიბომბა ისრაელი [16]. The Jerusalem Post-მა მოიპოვა ექსკლუზიური მოხსენება, რომლის თანახმადაც ირანი და ჰეზბოლა ეხმარებიან ჰამასს და ისლამურ ჯიჰადს, რათა მათ შეძლონ ისრაელის უფრო ფართო პროპაგანდისტულ ომში ჩართვა, როგორც ეს მოხდა 2021 წლის მაისში ღაზას ომის დროს [17].

ორგანიზაცია Human Rights Watch (HRW)-მა საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის, ან ომის სამართლის საფუძველზე 2021 წლის მაისში ღაზას სექტორიდან ჰამასის მიერ ისრაელის მიმართულებით წარმოებული სარაკეტო თავდასხმები შეაფასა ომის დანაშაულად. აღნიშნულ რაკეტებს არ ჰქონდა სათანადო დამიზნების სისტემები. რის გამოც არაზუსტია და განურჩეველ მსხვერპლს იწვევს, ასეთი რაკეტები კი სამოქალაქო რეგიონებზე თავდასხმისთვის გამოიყენეს [18]. ისრაელის ცნობით, 11-დღიანი კონფლიქტის განმავლობაში ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით 4360 რაკეტა ისროლეს. თავდასხმებმა 13 ადამიანი იმსხვერპლა [19].

სახელმწიფოთა სამეცნიერო ტექნიკური განვითარების დონე განსაზღვრავს ძალთა წონასწორობას. ისრაელისთვის და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენს ირანის ბირთვული პროგრამა. გაეროს განიარაღების კომიტეტის მიერ 1968 წელს შემუშავებულია საერთაშორისო დოკუმენტი „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკ-რულება“, რომელიც ძალაში შევიდა 1970 წელს [20].

Army Control Association-ის მიხედვით მსოფლიოში ბირთვულ იარაღს ცხრა სახელმწიფო ფლობს. ხუთი ქვეყანა ფლობს ხელშეკრულების მოქმედების ქვეშ, ესენია: აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი. ხოლო ინდოეთი, ისრაელი და პაკისტანი არ შეერთებულან ხელშეკრულებას თუმცა, ისინი ფლობენ ბირთვულ იარაღს. რაც შეეხება ჩრდი-ლოეთ კორეას, მართალია იგი შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას მაგრამ 2003 წელს გავიდა. ეს ნაბიჯი იურიდიულად არ იქნა აღიარებული NPT-ის სხვა წევრების მიერ.

ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 1968 წლის პირველ ივლისს [21]. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ 2003 წელს დაასკვნა, რომ ირანი ახორციელებდა ფარულ ბირთვულ პროგრამას [6]. 2003 წელს მოლაპარაკებების დაწყებისას ირანი 130 ცენტრიფუგას ფლობდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ირანმა ბირთვულ პროგრამაზე

მუშაობა 1967 წელს დაიყო, როდესაც თეირანში აშშ-ს დახმარებით ააგო 5 მეგავატიანი რეაქტორი [22, 159]. აშშ-ს გარდა ირანს ბირთვული პროგრამის განხორციელებაში დახმარება ევროპამაც აღმოუჩინა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ძლიერმა სახელმწიფოებმა ირანის მიმართ მთავარი შეცდომა დაუშვეს დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით. მათ არ გათვალეს რისთვის სჭირდებოდა ნავთობით მდიდარ შიიტურ სახელმწიფოს ბირთვული იარაღი და რა შედეგს მოუტანდა მომავალში ეს პროგრამა რეგიონსა და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებას.

აშშ-სა და ევროპის დახმარების შეწყვეტის შემდეგ აქტიური ხელშემწყობის როლი რუსეთმა დაიკავა. მართალია 1995 წელს აშშ-მა და რუსეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მოსკოვს უნდა შეეწყვიტა ირანის მხარდაჭერა, მაგრამ ის ამ მიმართულებით თანამშრომლობას მაინც აგრძელებდა [23,143].

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ბირთვული იარაღის მქონე ირანი ისრაელისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ უკვე განვიხილეთ, რომ ირანი ირიბად ერევა ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში. მაინც რა ინტერესი აქვს ისლამურ რესპუბლიკას ამ კონფლიქტის მიმართ? თუ გავიხსენებთ ირანის რევოლუციის მეთაურს აიათოლა ხომეინს, ასევე ირანის პრეზიდენტს მაჰმუდ აჰამადინეჯადს მათი საერთო ინტერესი „სიონისტური ოკუპაციის“ დასრულებაა. ირანის ხელმძღვანელობა ჯიჰადს რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევს, რომ მოახდინოს ისრაელის განადგურება.

ბირთვული იარაღის მქონე ირანი ახლო აღმოსავლეთის რეგიონს კიდევ უფრო არასტაბილურს გახდის. გაერო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირანის ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით დიდ დახმარებას უწევს არა მხოლოდ ისრაელს, არამედ მთელ მსოფლიოს. 2006 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრსა და გერმანიას შორის შედგა შეთანხმება ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ. 2006 წლიდან მოყოლებული გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო შვიდი რეზოლუცია: 1696 (2006); 1737 (2006); 1747 (2007);

1803 (2008); 1835 (2008); 1929 (2010) [24].

ირანის ბირთვული საკითხის ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი დიპლომატიური მცდელობა დასრულდა ყოვლისმომცველი გეგმით (Joint Comprehensive Plan of Action, JCPOA) რომელიც დაიდო 2015 წლის 14 ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, საფრანგეთის რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციას, ამერიკის შეერთებული შტატებს, დიდ ბრიტანეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის. 2015 წლის 20 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო №2231 რეზოლუცია [25].

№2231 რეზოლუციის დადებამდე ირანი ნათანზში და ფორდოში აწარმოებდა თითქმის 20.000 ცენტრიფუგას [26]. აღნიშნული რეზოლუციის ეტაპები გაწერილია დროში. 2025 წლის ოქტომბერში №2231 რეზოლუცია წყვეტს მოქმედებას და ირანის ბირთვული პროგრამის საქმე უნდა დაიხუროს [27].

2018 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვა შეთანხმება (JCPOA) და ირანს სანქციები დაუწესა, რომელიც 2015 წლამდე დაკისრებულ სანქციებზე გაცილებით მკაცრი იყო. აღნიშნულს საერთაშორისო მხარდაჭერა ნაკლებად ჰქონდა. 2019 წელს საუდის არაბეთის ნავთობ დაწესებულებაზე განხორციელებულ თავდასხმაში აშშ-მა პასუხისმგებლობა ირანს დააკისრა და ახალი სანქციები დაუწესა [28].

ირანის ბირთვული საკითხის ყოვლისმომცველი გეგმის (Joint Comprehensive Plan of Action, JCPOA) სარგებელი ისრაელისთვის იქნება ის, რომ წლების განმავლობაში მიეცემა თავისუფლად სუნთქვის საშუალება ასევე, მეტი დრო და ენერგია ექნება სხვა ბნელ საფრთხეებთან საბრძოლველად. აღნიშნული შეთანხმება არის რეგიონისთვის და მსოფლიოსთვის მშვიდობისა და სტაბილურობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ირანი მუდმივად არღვევს შეთანხმების პირობებს, რაც იწვევს სანქციების დაკისრებას. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დატოვა შეთანხმება და დაუწესა სანქციები, ირანმა ხელახლა დაიწყო აკრძალული ბირთვული მუშაობა. 2020 წელს თეირანმა მიაღწია 60%-იანი ურანის გამდიდრების დონეს.

ექსპერტებისთვის მთავარი კითხვა ახლა იმაში მდგომარეობს, თუ რა მანძილზეა გამდიდრებული ურანი ბირთვულ იარაღად რომ იქცეს [29].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ქაოსის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. რეგიონის „საჭადრაკო დაფაზე" დღესაც გრძელდება ბრძოლა გლობალური ბატონობისთვის. რეგიონში მოთამაშე ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი გააჩნია.

დღესდღეობით რუსეთი და ირანი აკონტროლებენ ისრაელისადმი მტრულად განწყობილ არაბულ ქვეყნებს: ერაყს, სირიასა და ლიბანს. ისრაელისთვის მთავარია ქვეყნის უშიშროება და მისი ხელშეუხებლობა, ასევე, რეგიონში ძალაუფლების შენარჩუნება, არაბული ქვეყნებისთვის ირანის რეგიონული ამბიციები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მათ მთავარ მიზანს იზიარებს ისრაელი და სურს რეგიონში სტატუს-კვოს შენარჩუნება. ირანი დღემდე აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიანია.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სტაბილურობა კვლავაც ძალიან მყიფეა. ბირთვული იარაღის რეგიონში გავრცელებას შეიძლება მოჰყვეს სავალალო შედეგი არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის არამედ მთელი მსოფლიოსთვის. თუ ჩვენ დავუშვებთ იმის ალბათობასაც, რომ მასობრივი განადგურების იარაღი ტერორისტების ხელში აღმოჩნდება მსოფლიო ახალი საფრთხეების ქვეშ დადგება.

მსოფლიო საფრთხეს წარმოადგენს ისლამური რადიკალიზმი. ირანის ისლამურ სახელმწიფოსა და მის მიერ დაფინანსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს ბრძოლა აქვთ გამოცხადებული „მსოფლიოს დამაქცეველი ძალის" აშშ-სა და მისი პოლიტიკის გამტარი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ეგზისტენციალურ გამოწვევებს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის და რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოახდინოს რეგიონიდან წამოსული საფრთხეების ნეიტრალიზაცია სტაბილური საშინაო და საგარეო პოლიტიკით.

დღესდღეობით რთულია ვისაუბროთ ირანის ბირთვული

პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2015 წლის შეთანხმების ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე არის ამჟამად სანქციებდაწესებული რუსეთის ფედერაცია, რომელიც მოლაპარაკებებში ვერ მონაწილეობს. მიმაჩნია, რომ ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების შეჩერება ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის ურანის გასამდიდრებლად და ბირთვული იარაღის შესაქმნელად მიცემული დამატებითი დროა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Obershall A., Conflict and Peace Building in Divided Societies, 2007.
2. Huntington S. P., The Clash of Civilizations, Foreign Affairs 72.3 (Summer 1993).
3. Kissinger H., World Order, 2014.
4. Frantzman Seth J., Inside Israel's "reverse periphery" strategy- analysis https://jpost.com/middle-east/inside-israels-reverse-periphery-strategy-analysis-688066 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
5. https://www.radiotavisupleba.ge/a/29256800.html უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
6. https://www.armscontrol.org/factsheets/Nuclearweaponswhohaswhat_უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
7. Frantzman Seth J- Why an airstrike on Syria's Latakia Port matters-analysis https://www.jpost.com/middle-east/why-an-airstrike-on-syrias-latakia-port-matters-analysis-688065 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
8. Joffre Tzvi- Alleged Israeli airstrike targets Latakia port in Syria – reports https://www.jpost.com/breaking-news/alleged-israeli-airstrike-targets-latakia-port-in-syria-initial-report-688040 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.

9. Ephren Dan- How Arab Ties With Israel Became the Middle East's New Normal https://www.foreignpolicy.com/2020/12/21/arab-ties-israel-diplomacy-normalization-middle-east/_უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
10. Примаков, Е. М., Конфиденциально: Ближний Восток на сцене и за кулисами (вторая половина XX - начало XXI века) Москва, 2012.
11. https://mfa.gov.il/Jubilee-years/Pages/1947-UN-General-Assembly-Resolution-181-The-international-community-says-Yes-to-the-establishment-of-the-State-of-Israel.aspx უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
12. კისინჯერი ჰ., მსოფლიო წესრიგი, ინგლისურიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ, გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2020
13. Rekhess, Elie, The Terrorist Connection – Iran, The Islamic Jihad and Hamas _ Information Division, Israel Foreign Ministry-Jerusalem _ Justice, May, 1995 gopher://israelinfo.gov.il:70/00/terror/950500.ter_უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
14. ჯაფარიძე თ., „სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში", სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2006.
15. Hroub Kh., Hamas: Political Thought and Practice. Institute for Palestine Studies, Washington, DC. 2000.
16. http://qronikaplus.ge/%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94-%e1%83%a4%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%a9%e1%83%ae%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%98/ <u>უკანასკნელად გადამოწმებულია</u> 10.02.2022.
17. Bob Yohan Jeremy, Iran-Hezbollah help Hamas, Islamic Jihad trounce Israel with propaganda-exclusive https://

www.jpost.com/middle-east/exclusive-iran-hezbollah-help-hamas-islamic-jihad-trounce-israel-with-propaganda-688000 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
18. https://www.hrw.org/news/2021/07/27/gaza-apparent-war-crimes-during-may-fighting_ უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
19. https://tabula.ge/ge/news/671580-human-rights-watch-2021-clis-maisshi-hamasis-mier უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
20. https://www.un.org/disarmament/wmd/nuclear/npt/text უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
21. https://treaties.unoda.org/t/npt უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
22. Saideh L., Nuclear policy and International Relations.In Katouzian &Shahidi (eds), 2007.
23. Saira Kh., Iran and Nuclear Weapons: Protracted Conflict and Proliferation (Routledge Global Security Studies), Routledge, 2009.
24. https://www.securitycouncilreport.org/un_documents_type/security-council-resolutions/?ctype=Iran&cbtype=iran უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
25. https://www.un.org/securitycouncil/content/2231/background უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
26. https://www.bbc.com/news/world-middle-east-33521655 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
27. https://www.armscontrol.org/factsheets/JCPOA-at-a-glance უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
28. Gaouette Nicole, Liptal Kevin, Atwood Kylie – US to send troops and air and missile defense to Saudi Arabia as Trump announces new Iran sanctions after oil attack https://edition.cnn.com/2019/09/20/politics/trump-announces-iran-sanctions/index.html უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.
29. Bob Yohan Jeremy, Why Israel was not ready for an airstrike on iran 2019-analysis https://jpost.com/israel-

news/why-israel-was-not-ready-for-an-airstrike-on-iran-in-2019-analysis-688123 უკანასკნელად გადამოწმებულია 10.02.2022.

Shorena Tsintsadze

Georgian Technical University doctoral student of the Faculty of Law and International Relations. Assistant of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University

THE INTERESTS OF THE ARAB COUNTRIES IN THE ISRAELI-PALESTINIAN CONFLICT

Summary

In this article, "The interest of the Arab countries in the Israeli-Palestinian conflict" I discuss the post-creation period of the state of Israel in 1948. In particular, the confrontation of the Islamic world with the only democratic values in the Middle East region. The state of Israel has become the central problem of the region and the basis of endless interstate wars. The current events in the busiest part of planet are still relevant.

The state of Israel has used the "reverse periphery"strategy to warm relations with some Arab countries. However, I must point out that establishing diplomatic relations with the Syrian Arab Republic will be unattainable. The Islamic Republic of Iran with its nuclear weapons program and funding of terrorist organizations, is trying to destroy the state of Israel and take the lead in the region.